საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის ნარკვევი

ივლისი 2024 / გამოცემა #66

საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებლები ევროპაში: გაზრდილი საფრთხე საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესისთვის

ანანო არველაძე[1]

მოკლე შინაარსი

2017 წელს საქართველოსა და შენგენის ქვეყნებს შორის ვიზალიბერალიზაციის პროცესის ამოქმედების პარალელურად ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოდან ყველაზე ბევრ თავშესაფრის განაცხადს გერმანია და საფრანგეთი იღებს. ამავდროულად, საქართველოს მოქალაქეების განაცხადთა დაკმაყოფილების საერთო მაჩვენებელი 3-4 პროცენტია, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების თქმით „ყალბ“ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მომრავლებას და თავშესაფრის სისტემის ბოროტად გამოყენებასთანაა დაკავშირებული. ამ პროცესებმა შესაძლოა უვიზო-რეჟიმის შეჩერება გამოიწვიოს, რისი ლეგალური საფუძველიც უკვე არსებობს. აღნიშნული პოლიტიკის ნარკვევი შეისწავლის საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზებს, ასევე, როგორ მოქმედებს აღნიშნული პროცესი საქართველოს ვიზალიბერალიზაციაზე.

საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა შემთხვევაში რამდენიმე ძირითადი მიზეზი გამოიყო, რის გამოც ტოვებენ ქვეყანას, ესენია: ჯანდაცვასა და ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებული პრობლემები, ქალთა მიმართ ძალადობა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების და რასობრივი დისკრიმინაცია, პოლიტიკური დევნა. იმის

[1] ანანო არველაძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ცენტრის (PPAHub) მონაწილე.

გათვალისწინებით, რომ უვიზო მიმოსვლის შეჩერების კანონიერი საფუძველი არსებობს, არის საშიშროება იმისა, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესს საფრთხე შეექმნას. კვლევის შედეგების საფუძველზე, პოლიტიკის ნარკვევის ბოლოს მოცემულია მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მიმართ გაცემული რეკომენდაციები, უფრო კონკრეტულად - როგორ მოხდეს თავშესაფრის მაძიებელთა მიგრაციული ნაკადის დარეგულირება და იმ ძირეული პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც ამ ადამიანთა ქვეყნიდან გადინებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: თავშესაფრის მაძიებლები, ვიზალიბერალიზაცია, საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, ლტოლვილები, უვიზო რეჟიმი.

შესავალი

მიგრაციული პროცესების ათვლის წერტილად საქართველოსთვის 90-იანი წლები მიიჩნევა, თუმცა 2017 წელს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებამ საქართველოს მოქალაქეთა გადინების პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა (Chachava 2020). ევროსტატის მონაცემების თანახმად, 2016 წელს საქართველოდან ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე 9000 განაცხადი შევიდა, რაც 2018 წლისთვის 20,000-მდე გაიზარდა (Eurostat 2024). განაცხადთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა ხაზს უსვამს ვიზალიბერალიზაციის მნიშვნელობას საქართველოში. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად თავშესაფარს გერმანიასა და საფრანგეთში ითხოვენ. აღნიშნულს ევროსტატის მონაცემებიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც 2014-დან 2024 წლის ჩათვლით ყველაზე დიდი რაოდენობის განაცხადი საქართველოდან გერმანიასა და საფრანგეთში იგზავნება (Eurostat 2024). ამასთანავე, 2024 წლის ევროსტატის მონაცემებით, შენგენის ზონაში შემავალ ქვეყანათა მიერ საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის განაცხადთა დაკმაყოფილების საერთო მაჩვენებელი 4 პროცენტია (Eurostat 2024). აღნიშნული პრობლემა აქტუალური ჯერ კიდევ ვიზალიბერალიზაციის შემდგომ გახდა. უვიზო რეჟიმის დაწესებამ საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებლებისთვის მანამდე არსებული დაბრკოლებები მოხსნა (Chachava 2020).

ევროკავშირის წესდების თანახმად, ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლის უფლების შეჩერება ან შეყოვნებაა შესაძლებელი, რისი ერთ-ერთი კრიტერიუმიც უვიზო რეჟიმის წესების დარღვევა ან ბოროტად გამოყენებაა (იგულისხმება თავშესაფრის მაძიებელთა

დაუსაბუთებელი განცხადებები, არალეგალურად დარჩენა, კრიმინალური დაჯგუფებების მომრავლება). წესდების თანახმად, აღნიშნულმა მონაცემები 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამას ემატება თავშესაფრის მაძიებელთა დაბალი აღიარების მაჩვენებელიც (3-4%) (Dolidze, Rusu and Grigoryan 2019). ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველო ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს (Eurostat 2024).

აღსანიშნავია 2023 წელს ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული ცვლილება, რომელიც უვიზო რეჟიმის შეჩერების კრიტერიუმების გამკაცრებისკენაა მიმართული. კერძოდ, ქვეყანაში შესვლაზე უარის, არაკანონიერად დარჩენისა და დაუსაბუთებელი თავშესაფრის მოთხოვნის ზღვარი 50%-დან 30%-მდე შემცირდა, ხოლო, აღიარების მაჩვენებელი 4% დან 20%-მდე გაიზარდა (Dolidze 2024).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობის მიერ გატარებული პრევენციული პოლიტიკის მიუხედავად საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობა იზრდება (Eurostat 2024). ამავდროულად ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებით „ყალბ თავშესაფრის მაძიებელთა“ სიმრავლეზე ხშირად აპელირებს, რაშიც თავშესაფარზე განაცხადის შეტანისას დასახელებული არაობიექტური მიზეზები სახელდება (Dolidze, Rusu and Grigoryan 2019). ეს უკანასკნელი კავშირშია და განაპირობებს განაცხადთა დაბალ აღიარების მაჩვენებელს (Dolidze, Rusu and Grigoryan 2019).

აღნიშნული მოვლენა საფრთხეს უქმნის საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესსაც. უვიზო მიმოსვლის სისტემის გაუქმება საქართველოს რეპუტაციაზე იმოქმედებს და ევროკავშირის ქვეყნებისადმი სანდო პარტნიორად წარმოჩენას საფრთხეს შეუქმნის (Grigalashvili და Sarjveladze 2018). აუცილებელია დროულად მოხდეს პრობლემაზე რეაგირება და დაუსაბუთებელ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შემცირების კუთხით სწორი პრევენციული ზომები იქნას მიღებული.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში საქართველოს დატოვებისა და თავშესაფრის ძიების ძირითადი მიზეზები გამოიყო. ასევე, ექსპერტთა ინტერვიუების და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე იმ ძირითად საფრთხეებს გაესვა ხაზი, რასაც საქართველოდან განაცხადთა რაოდენობის ზრდა უქმნის ქვეყნის ვიზალიბერალიზაციის პროცესს. უვიზო მიმოსვლის გაუქმების შესაძლებლობა საფრანგეთი-საქართველოსა და გერმანია-საქართველოს ურთიერთობებზე დაყრდნობით არის განხილული. მეთოდოლოგიად არაალბათური მიზნობრივი შერჩევა და თვისებრივი კვლევის მეთოდია გამოყენებული. ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები გერმანიასა

და საფრანგეთში მყოფ 18 საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთან/ლტოლვილთან ინტერნეტის გამოყენებით ჩატარდა. ამასთანავე, 3 ექსპერტული ინტერვიუ ჩატარდა შესაბამისი დარგის წარმომადგენლებთან. ინტერვიუების ჩაწერის თარიღია 2024 წლის მაისი.

რატომ ეძებენ თავშესაფარს?

თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვისას ქვეყნის დატოვების და თავშესაფრის მოთხოვნის კომპლექსური მიზეზები გამოიყოფა. ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია, ადამიანთა გადაადგილების მთავარ მიზეზად ქვეყნებს შორის სახელფასო განაკვეთების სხვაობას ასახელებს (Massey, et al. 1993), რასაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი წმინდად ეკონომიკურ დონეზე დაჰყავს.

რაც შეეხება ჰარიეტ სპინკსს, 2005 წელს ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, ქვეყნის დატოვების მთავარ მამოძრავებელ მოტივად დევნასა და უსაფრთხოების არარსებობას მიიჩნევს (Spinks 2013). სხვა ავტორები ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად ძალადობასაც გამოყოფენ როგორც ერთ-ერთ მთავარ მოქმედ ფაქტორს გადაწყვეტილების მიღებისას (Shellman and Moore 2004).

ამის საპირისპიროდ, ზიმერმანი არა ფუნდამენტურ უფლებების დარღვევაზე, არამედ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ამით გამოწვეულ პროცესებზე კონცენტრირდება. ავტორის თქმით ეკონომიკური, განათლების ხელმისაწვდომობის და ა.შ. არქონით გამოწვეული პრობლემებიც საფუძვლიანი მიზეზებია იმისთვის, რომ მოქალაქემ თავშესაფარი სხვა ქვეყანაში ეძიოს (Zimmermann 2009).

და ბოლოს, ავტორთა გარკვეული ჯგუფი ყურადღებას სოციალურ კავშირებზე და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე ამახვილებენ (Mullet and Neto 1998). ამას ემატება ისიც, რომ სოციალიზაციის პროცესი განმეორებადი და თვითგაძლიერებადია (Cummings, et al. 2015), რაც კიდევ უფრო ამყარებს ავტორთა მოსაზრებებს.

თავშესაფრის ძიება და ვიზალიბერალიზაცია

საქართველოს მოქალაქეებს მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტის გამოყენებით შეუძლიათ შენგენის ზონის ქვეყნებში გადაადგილდნენ (Radio Free Europe 2017). აღნიშნული ფაქტორი საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებლებისთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რაც ვიზალიბერალიზაციის შემდგომ განაცხადთა რაოდენობის ზრდაშიც აისახა (Eurostat 2024). 2016 წლის მონაცემებით, შენგენის ზონაში საქართველოდან მიღებულ თავშესაფრის განაცხადთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 6.5 პროცენტი დაკმაყოფილდა, რაც 2018 წელს 3 პროცენტამდე შემცირდა (Dolidze, Rusu and Grigoryan 2019). აღნიშნული მონაცემები შენგენის ქვეყნების აქტიური განხილვის საგანია, რასაც უვიზო რეჟიმის შეჩერების კანონიერი ბერკეტის არსებობაც ემატება (Dolidze, Rusu and Grigoryan 2019). მიგრაციულ პროცესებსა და უვიზო მიმოსვლის შეწყვეტის საფრთხეზე საუბრობს მიგრაციის ერთ-ერთი მკვლევარიც (ონლაინ ინტერვიუ 07.05.2024) - „განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა შეაჩეროს ვიზალიბერალიზაციის პროცესი, ჩვენი ერთგვარი მონაპოვარი“.

დაუსაბუთებელ განცხადებათა რაოდენობის ზრდა ყველაზე ცხადად გერმანიასა და საფრანგეთში გამოიკვეთა, რაც ქვეყნებს შორის ურთიერთობასა და საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პოლიტიკის ცვლილებაშიც აისახა. ამის დასტურია გერმანიის მიერ 2024 წელს საქართველოს „უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყანათა“ სიაში შეყვანა (Federal Office for Migration and Refugees 2024). გერმანიაში მცხოვრებ თავშესაფრის მაძიებელთა თქმით აღნიშნული სია ართულებს თავშესაფრის მიღების პროცესს - „ინტერვიუზე ყველას იმავეს უმეორებენ - საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა, დევნა არ არის, ბომბები არ ცვივა, რაღაც განსაკუთრებული უნდა გჭირდეს ან კვდებოდე, რომ დაგიტოვონ“ (ონლაინ ინტერვიუ, 02/05/2024). რაც შეეხება საფრანგეთს, საქართველო აღნიშნულ სიაში ჯერ კიდევ 2013 წელს ხელახლა შეიყვანა (წყარო).

დიდი რაოდენობით მიღებულ თავშესაფრის მაძიებელთა დაუსაბუთებელ განაცხადთა ფონზე 2018 წლის მიუნხენის კონფერენციაზე გერმანიის ერთ-ერთმა მინისტრმა საქართველოსთან მიმართებით უვიზო მიმოსვლის შეწყვეტის შესაძლებლობაზე ისაუბრა (Grigalashvili და Sarjveladze 2018). თუ ვიზალიბერალიზაციის პროცესის თანმდევად კვლავ გაიზრდება დაუსაბუთებელ თავშესაფრის მაძიებელთა და არალეგალურ მიგრანტთა რაოდენობა, შესაძლებელია უვიზო მიმოსვლის შეჩერებაც (Maglakelidze 2018).

რაც შეეხება საქართველოსთან მიმართებით გაკეთებულ ბოლოდროინდელ განცხადებებს, საქართველოში ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის თქმით, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა ექვსი თვით შეაჩერონ. აღნიშნულს თავშესაფრის ცრუ მოთხოვნათა ზრდასა და საქართველოს მიერ ახლახან ამოქმედებულ "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონს აკავშირებს (Restelica 2024).

თავშესაფრის ძიების გამომწვევი მიზეზები

თავშესაფრის მაძიებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე საქართველოს დატოვების ორი ტიპის მიზეზთა ჯგუფი გამოიყო. პირველ მიზეზთა ერთობლიობა 1951 წლის კონვენციით მიღებულ ოფიციალურ განმარტებას შეესაბამება, რომლის თანახმადაც აღნიშნულ სტატუსს ისეთი ადამიანი იღებს, რომელიც რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან კუთვნილების შედეგად ქვეყნიდან იდევნება (Redpath-Cross and Perruchoud 2011) მეორე ჯგუფად გამოიყო „გადარჩენაზე ორიენტირებული მიგრანტები" (Betts 2013), ანუ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სახელმწიფოს უძლურების გამო ტოვებს ქვეყანას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ადამიანები „ლტოლვილის" ოფიციალურ განმარტებას ვერ ერგებიან (Betts 2013). კვლევის თანახმად, პირველ ჯგუფში სამი ქვეკატეგორია გამოიყო: ძალადობა, დისკრიმინაცია და პოლიტიკური დევნა.

<u>სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია</u>

სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ადამიანთა დისკრიმინაცია საქართველოს დატოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს - „საქართველოში მუდამ შიშში გვიწევს ცხოვრება, პატარა ქვეყანაა და ყველამ ყველაფერი იცის, შემდეგ კი გეშინია, შენმა ოჯახის წევრებმაც არ გაიგონ" (ონლაინ ინტერვიუ 08.05. 2024). ინტერვიუების ანალიზის შედეგად ამ მიმართულებით რამდენიმე არსებული პრობლემა გამოიკვეთა. რესპონდენტთა თქმით, სოციალური კავშირებიდან გამომდინარე საქართველოში რაიმეს დამალვა რთულია და ხშირად ხდება ადამიანთა პირადი სივრცის დარღვევა.

<u>ქალთა მიმართ ძალადობა</u>

ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოს დატოვების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებადი მიზეზია, რომელსაც სხვა სოციალური პრობლემებიც უკავშირდება. ამასთანავე, რესპონდენტები, რომელთაც ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოს დატოვების მთავარ მიზეზად დაასახელეს ამავდროულად მარტოხელა დედებიც იყვნენ, ხოლო მოძალადეს წარმოადგენდა ადამიანი, რომელიც ან პოლიციაში მუშაობდა ან მყარი კავშირები ჰქონდა აღნიშნულ დაწესებულებასთან. „ერთ-ერთ შემთხვევაში პოლიცია გამოვიძახე, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ. შემდეგ ადგილობრივ სასამართლოში ვუჩივლე, სასამართლომ მე გამამტყუნა. იგივე საბუთები წარვადგინე აქაურ სასამართლოში და თავშესაფარი მომცეს“ (ონლაინ ინტერვიუ 07.05.2024). აქ არა მხოლოდ მოქალაქის სამართალდამცავი ორგანოსგან დაუცველობის პრობლემა იკვეთება, არამედ სასამართლოს მიკერძოებულობაც. ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა პოლიციისადმი უნდობლობა და პირადი გავლენების როლი აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირების პროცესში.

<u>პოლიტიკური ნიშნით დევნა</u>

საქართველოდან პოლიტიკურად დევნილმა პირებმა სახელმწიფოს მხრიდან უსაფუძვლო ბრალდებებს, დევნას, ფიზიკური დაზიანებისა და მუქარის ფაქტებს გაუსვეს ხაზი. ამასთანავე, ციხეში ცემისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევებზე ამახვილებენ ყურადღებას. რესპონდენტთა მოსაზრებებიდან სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობაც იკვეთება.

<u>რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია</u>

ამ ნაწილში რესპონდენტთა მხრიდან საქართველოს მოქალაქეთა მიერ დისკრიმინაციული დამოკიდებულების არსებობას გაესვა ხაზი. რესპონდენტის თქმით რასიზმი საზოგადოებაში მასობრივადაა გავრცელებული და არა მხოლოდ საქართველოს რეგიონების, არამედ დედაქალაქის პრობლემასაც წარმოადგენს. ამასთანავე, აღინიშნა პოლიციის საკითხისადმი გულგრილობა და უმოქმედობა დაიცვან დაზარალებული ადამიანები.

<u>ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობა და ჯანმრთელობის პრობლემები</u>

თავშესაფრის მაძიებელთა მიერ ხშირად ნახსენებ ფაქტორს საქართველოში არსებული ჯანდაცვის სისტემაც წარმოადგენს. ინტერვიუების ჩატარებისას ექიმების არაპროფესიონალიზმთან, ჯანდაცვის სისტემის მოუწესრიგებლობასა და სიძვირესთან დაკავშირებული პრობლემები რამდენჯერმე დაფიქსირდა. „ექიმები იმით არიან

დაინტერესებულნი თუ როგორ გააკეთონ შენი წყალობით ფული, არიან არაპროფესიონალები და არ იციან რას აკეთებენ“ (ონლაინ ინტერვიუ 08.05.2024). კვლევის საფუძველზე კიდევ ერთ პრობლემად გამოიყო სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის მოუმზადებლობა, უმკურნალონ იშვიათი დაავადებით დაავადებულ ადამიანებს. ასევე დაავადებათა სამკურნალოდ საჭირო წამლების ქვეყანაში არ არსებობასა და ჯანდაცვის ინსტიტუტების არასათანადოდ ფუნქციონირების პრობლემას გაესვა ხაზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების დაახლოებით 55 პროცენტს სახელმწიფო ფარავს (Verulava 2015), კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დარჩენილი თანხის დაფარვა პაციენტთათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით იშვიათი დაავადების მქონე პირთათვის. კვლევის შედეგებმა ჯანდაცვის პრობლემების ეკონომიკურ სიდუხჭირესთან კავშირიც გამოკვეთა. რესპონდენტთა თქმით წამლების სიძვირე დიდი დაბრკოლებაა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მკურნალობა გრძელვადიანია.

ეკონომიკური სიდუხჭირე

ქვეყნის დატოვების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ეკონომიკური სიდუხჭირე დასახელდა. საინტერესოა ისიც, რომ წარმატებულ და უმაღლესი განათლების მქონე პირებს წარმოადგენენ იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომელთაც თავშესაფრის ძიების მთავარ მიზეზად ეკონომიკური მდგომარეობა დაასახელეს. „მე და ჩემი ქმარი საქართველოში წარმატებული ადამიანები ვიყავით. ორივეს უმაღლესი განათლება გვაქვს. ჩემი ქმარი ლექტორი იყო, მიუხედავად ამისა, ყოველ დღე იმაზე ვფიქრობდით შვილები როგორ გამოგვეკვება“ (ონლაინ ინტერვიუ 02.05.2024). რესპონდენტთა მხრიდან დაბალანაზღაურებადი სამსახურების პრობლემასა და დასაქმების კუთხით შესაძლებლობების ნაკლებობასაც გაესვა ხაზი.

სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა - ექსპერტთა შეფასებები

საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა ტიპის ინიციატივები წამოაყენა დაუსაბუთებელ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შესამცირებლად. შექმნილი პროგრამები ძირითადად არალეგალური მიგრაციის შემცირებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერისკენაა მიმართული.

ამ პროგრამებს შორის ერთ-ერთია საინფორმაციო კამპანიების წარმოება, რომელიც ძირითადად ევროპაში თავშესაფრის წარუმატებელ მოთხოვნასა და სამართლებრივი შედეგების არსებობაზეა ორიენტირებული და არალეგალური მიგრაციის შეკავებას ისახავს მიზნად (Integral Human Development 2024).

უშუალოდ გერმანიასთან მიმართებით რამდენიმე პროგრამა ხორციელდება, მაგ: სეზონური სამუშაო პროგრამა. აღნიშნული სქემა საქართველოს მოქალაქეთა გერმანიაში ხანმოკლედ დასაქმებაზეა ორიენტირებული, კერძოდ სოფლის მეურნეობაში. აღნიშნული პროგრამა საქართველოს მოქალაქეთა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და დამატებით მუშაობის შესაძლებლობას უწყობს ხელს (ევროკავშირის იმიგრაციის პორტალი; სეზონური სამუშაო ადგილები საზღვარგარეთ) (European Commission 2024). აღნიშნული პროგრამა ჯერჯერობით გერმანიასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაშია განვითარებული (European Commission 2024).

საქართველო რიგ ქვეყნებთან რეადმისიის პოლიტიკასაც ახორციელებს. აღნიშნული პროგრამა არალეგალურად წასულ ქართველთა დაბრუნებასა და ქვეყანაში ინტეგრაციას უსვამს ხაზს. ეს ხელშეკრულება ყველაზე აქტიურად გერმანიასთან ხორციელდება. მოქალაქეთათვის რეინტეგრაციაში დასახმარებლად ფინანსური, სოციალური და პროფესიული მომსახურებაც შედის (Migration Commission 2014), თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ დაბრუნებულს ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია არასაკმარისი დამხმარე სერვისებისა და დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობიდან გამომდინარე უჭირს (EUR-Lex 2011). აღნიშნულს ერთ-ერთი ექსპერტიც ადასტურებს, რომელიც რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართულ ადამიანთა განაცხადთა მხოლოდ მეოთხედის დაკმაყოფილების შემთხვევას უსვამს ხაზს.

თუმცა საერთო ჯამში ექსპერტები “რეინტეგრაციის პოლიტიკას” დადებითად განიხილავენ. მათი თქმით, ეს პროგრამა მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს მიერ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შენარჩუნებისთვის. მიგრაციის საერთაშორისო ცენტრის მკვლევარიც დადებითად განიხილავს რეადმისიის პოლიტიკის მნიშვნელობას, რადგან აღნიშნული ამ ადამიანთა საზოგადოებაში „რეინტეგრაციის პროცესს“ შედარებით აადვილებს.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში ცხადად გამოიკვეთა ძირითადი მიზეზები, რომლებიც საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა მიერ სახელმწიფოს დატოვებასა და ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის ძიებას განაპირობებს. მონაცემების ანალიზის შედეგად საქართველოდან ორი ტიპის თავშესაფრის მაძიებლები გამოიყო: ისინი, რომლებიც 1951 წლის კონვენციას ერგებიან. რაც შეეხება მეორე ტიპს, ესენი "გადარჩენაზე ორიენტირებული" მიგრანტებია.

ასევე, კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნის დატოვების მიზეზები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მთლიან ჯაჭვს ქმნის. განსაკუთრებით ბმაშია ჯანდაცვის პრობლემები და ეკონომიკური სიდუხჭირე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრევენციული ნაბიჯების შემუშავებისას ყურადღება მიექცეს შესაბამის მიზეზებს შორის კავშირსაც.

საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა დიდი რაოდენობით გადინება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა საფრანგეთი და გერმანია, საქართველოში არსებულ ძირეულ პრობლემებს გამოკვეთს, განსაკუთრებით ჯანდაცვის, ადამიანის უფლებების დაცვის და ეკონომიკური კუთხით. ძირეულ პრობლემათა გადაჭრა მნიშვნელოვანია მიგრაციული ნაკადის დარეგულირებისა და ევროკავშირთან არსებული უვიზო რეჟიმის შენარჩუნების კუთხით.

<u>საქართველოს მთავრობისთვის</u>:

ვიზალიბერალიზაცია:

- თავშესაფრის მოთხოვნის მაღალი რისკის მქონე პირების იდენტიფიცირებისთვის ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზის შემუშავება და საკონსულტაციო სესიების ჩატარება, რათა ეს პირები კანონიერი მიგრაციის შესაძლებლობებსა და არაკანონიერი მიგრაციის შედეგების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ.
- გერმანიასა და საფრანგეთთან არსებული ორმხრივი შეთანხმებების გაძლიერება, რათა მოიცვას მეტი სექტორი, მათ შორის ტექნოლოგია, ჯანდაცვა და განათლება.
- რეადმისიის შეთანხმების მხარე ქვეყნებთან ურთიერთობების გაძლიერება დაბრუნებულთა ეფექტური და ადამიანური მოპყრობის უზრუნველსაყოფად.

- რეინტეგრაციის პროგრამებისთვის განკუთვნილი დაფინანსების გაზრდა და უფრო ეფექტური განაწილება, რათა რესურსები დაბრუნებულთათვის გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იქნას გამოყენებული. ამის პარალელურად საზოგადოების ჩართვა რეინტეგრაციის პროცესში დაბრუნებულთა მიღებისა და დახმარების უზრუნველსაყოფად.
- სეზონური შრომის პროგრამაში მონაწილე დამსაქმებლების მკაცრი მარეგულირებელი კონტროლის უზრუნველყოფა სამართლიანი ხელფასების, შესაფერისი სამუშაო საათებისა და უსაფრთხო სამუშაო პირობების დასაცავად. ქართველი მუშაკებისთვის გერმანიაში დასაქმებამდე მათი უფლებებისა და შესაბამისი გარანტიების შესახებ ინფორმაციისა და რესურსების მიწოდება.

ჯანდაცვის სისტემის და ეკონომიკური რეფორმები:

- საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის საფუძვლიანი შეფასების ჩასატარებლად. შეფასება სოფლად და მოწყვლად რეგიონებში მომსახურების მიწოდების ხარვეზების გამოვლენაზე უნდა ორიენტირდეს.
- იშვიათი დაავადებების გრძელვადიანი მკურნალობისთვის აუცილებელი თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების შესაძენად სპეციალური ფონდის დაარსება.
- ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის სავალდებულო უწყვეტი განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება, ამის პარალელურად საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობა თანამედროვე ტრენინგების უზრუნველსაყოფად და ჯანდაცვის გლობალური სტანდარტების დასანერგად.
- მაღალი პოტენციალის მქონე ინდუსტრიების შერჩევა, როგორებიცაა აგრობიზნესის, ტურიზმის, განახლებადი ენერგიისა და ტექნოლოგიების სფეროები. დასაქმებისა და ინვესტიციების წახალისება ამ ინდუსტრიებში მოქმედი ბიზნესებისთვის საგადასახადო შეღავათების, გრანტებისა და სუბსიდიების შეთავაზებით.
- კერძო სექტორის ბიზნესებთან თანამშრომლობა ტრენინგ-პროგრამების შესამუშავებლად, რომლებიც თანამშრომლებს სწრაფად მზარდ ინდუსტრიებში წარმატებისთვის საჭირო უნარებს მიაწვდის.

ქალების, რასობრივი, პოლიტიკური და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა:

- საქართველოს მასშტაბით მხარდაჭერის ცენტრების ქსელის შექმნა, რომელიც ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის იურიდიულ დახმარებას, კონსულტაციას და გადაუდებელ თავშესაფარს უზრუნველყოფს. ცენტრები ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც საქალაქო, ისე სასოფლო არეალებში.
- სათემო პროგრამების შემუშავება და დაფინანსება პოლიციასა და ადგილობრივ თემებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ორიენტაციისა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნულ შემთხვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის პოლიციელთა გადამზადება.
- საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად კამპანიების ინიცირება. კამპანიები მიზნად უნდა ისახავდეს მოქალაქეების განათლებას მათი უფლებების შესახებ, განურჩევლად სქესის, სექსუალური ორიენტაციისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა.
- მამხილებელთა დაცვის შესახებ მყარი კანონმდებლობის შემუშავება და ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობას, დარღვევების გამოვლენის უსაფრთხო გზებს და რეპრესიებისგან ადამიანთა დაცვას. მამხილებლებისთვის მხარდამჭერი სისტემების შექმნა, მათ შორის კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა, რათა დარღვევების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გარეშე გახდეს შესაძლებელი.

<u>სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციებისთვის:</u>

- ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარება იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა მიერ მასპინძელი ქვეყნების არჩევაზე მოქმედებს. კვლევის შედეგები საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირებისთვის მნიშვნელოვანია.
- მიზნობრივი კამპანიების წარმოება ქალთა მიმართ ძალადობის, ლგბტქ+ პირთა უფლებებისა და ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. ამ გზავნილების გასაძლიერებლად მედიასაშუალებებთან თანამშრომლობა.
- საგამოძიებო ჟურნალისტიკის როლის ზრდა, რომელიც ჯანდაცვის სისტემის პრობლემებზე, ლგბტქ+ უფლებებსა და ძალადობის მსხვერპლ ქალთა მდგომარეობაზე იქნება ორიენტირებული. მნიშვნელოვანია წარმატებული

ისტორიებისა და საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენა პოზიტიური ცვლილებების წასახალისებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

Verulava, Tengiz. 2015. *ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება.* ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 18 11. წვდომილი 2024 წლის 10 05. https://idfi.ge/ge/health-care-expenditure-who-recommendations-georgia.

Betts, Alexander. 2013. *Survival Migration: Failed Governance and The Crisis of Displacement.* London: Cornell University Press. Accessed 05 10, 2024.

Chachava, Meri. 2020. *Factors Influencing Georgian Asylum Seekers' Choice of Destination.* Georgian Institute of Politics. წვდომილი 2024 წლის 09 05. https://lup.lub.lu.se/luur/download?func=downloadFile&recordOId=9008926&fileOId=9008927.

Cummings, Clare, Julia Pacitto, Diletta Lauro, და Marta Foresti. 2015. *Why people move: understanding the drivers and trends of migration to Europe.* London: Overseas Development Institute. წვდომილი 2024 წლის 10 05.

Dolidze, Tatia. 2024. *Visa Suspension Mechanism Amended:Implications for Georgia and Response Strategies.* Policy Brief, Georgian Institute of Politics. Accessed 08 16, 2024. https://gip.ge/publication-post/visa-suspension-mechanism-amended-implications-for-georgia-and-response-strategies/.

Dolidze, Tatia, Iulian Rusu, and Dr. Stepan Grigoryan. 2019. *Facilitating Effective Visa Liberalization in Georgia, Moldova and Armenia through Experience Sharing.* Georgian Institute of Politics. Accessed 05 09, 2024. https://gip.ge/publication-post/facilitating-effective-visa-liberalization-in-georgia-moldova-and-armenia-through-experience-sharing-compendium/.

EUR-Lex. 2011. *Agreement between the European Union and Georgia on the readmission of persons residing without authorisation.* Accessed 08 06, 2024. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:22011A0225(03).

European Commission. 2024. *EU Immiggration Portal.* Accessed 08 06, 2024. https://immigration-portal.ec.europa.eu/france-seasonal-worker_en.

Eurostat. 2024. *Asylum Applicants By Type.* წვდომილი 2024 წლის 08 05. https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/migr_asyappctza__custom_10853209/default/bar?lang=en.

Federal Office for Migration and Refugees. 2024. *Safe countries of origin.* 01 15. Accessed 05 08, 2024. https://www.bamf.de/EN/Themen/AsylFluechtlingsschutz/Sonderverfahren/SichereHerkunftsstaaten/sichereherkunftsstaaten-node.html.

Grigalashvili, Mariam, და Mikheil Sarjveladze. 2018. *Challenges for Georgia's Visa Liberalization: Political Context and Statistics.* Georgian Institute of Politics. წვდომილი 2024 წლის 10 05. https://gip.ge/publication-post/challenges-for-georgias-visa-liberalization-political-context-and-statistics/.

Integral Human Development. 2024. "Georgia." *Integral Human Development.* Accessed 08 06, 2024. https://migrants-refugees.va/.

Maglakelidze, Ana. 2018. *Migration management concerns within visa liberalization mechanism: cases of Moldova, Georgia and Ukraine.* Tallinn. წვდომილი 2024 წლის 10 05. https://digikogu.taltech.ee/et/Download/15635a39-50f9-4c0a-b589-56c9f880f655.

Massey, Douglas S., Joaquin Arango, Graeme Hugo, Ali Kouaouci, Adela Pellegrino, და J. Edward Taylor. 1993. *Theories of International Migration: A Review and Appraisal.* Population Council. წვდომილი 2024 წლის 10 05. https://www.jstor.org/stable/pdf/2938462.pdf.

Migration Commission. 2014. *Readmission To Georgia.* Accessed 08 06, 2024. https://migration.commission.ge/files/readmission_newsletter_iom_sept_2014.pdf.

Mullet, Etienne, და Felix Neto. 1998. „Decision-making as regards migration: Wage differential, job opportunity, and the network effect." *Acta Psychologia* 57-66. წვდომილი 2024 წლის 10 05. https://www.researchgate.net/publication/223515475_Decision-making_as_regards_migration_Wage_differential_job_opportunity_and_the_network_effect.

Radio Free Europe. 2017. *Jubilant Georgians Ring In Visa-Free Travel To EU.* 03 28. Accessed 05 10, 2024. https://www.rferl.org/a/georgia-eu-visa-free-travel-/28395173.html.

Redpath-Cross, J., and R. Perruchoud. 2011. *Glossary on Migration.* Vol. Refugee Survey Quaterly. Geneva: Oxford University Press. Accessed 08 05, 2024.

Restelica, Bleona. 2024. *Member States May Suspend Visa-Free Travel for Georgia for 6 Months, EU Ambassador Says.* June 7. Accessed 08 06, 2024. https://schengen.news/member-states-may-suspend-visa-free-travel-for-georgia-for-6-months-eu-ambassador-says/.

Shellman, Stephen M., და Will. H Moore. 2004. „Fear of Persecution: Forced Migration, 1952-1995." *Journal of Conflict Resolution.* წვდომილი 2024 წლის 10 05. https://www.jstor.org/stable/4149817.

Spinks, Harriet. 2013. *Destination anywhere? Factors affecting asylum seekers' choice of destination country.* Parliament of Australia. წვდომილი 2024 წლის 10 05.

Verulava, Tengiz. 2015. *ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება.* ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 18 11. წვდომილი 2024 წლის 10 05. https://idfi.ge/ge/health-care-expenditure-who-recommendations-georgia.

Zimmermann, Susan E. 2009. „Irregular Secondary Movements to Europe: Seeking Asylum Beyond Refuge." *Journal of Refugee Studies.* წვდომილი 2024 წლის 10 05. https://academic.oup.com/jrs/article-abstract/22/1/74/1571703.

დანართი #1

კვლევის ფარგლებში ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა დარგის ექსპერტთან:

მერი ჩაჩავა - „გაეროს განვითარების პროგრამა" (UNDP) -აფილირებული მკვლევარი, ლუნდის უნივერსიტეტი - მაგისტრი.

გიორგი გიგიშვილი - „მიგრაციის ცენტრი" - აღმასრულებელი დირექტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - ლექტორი.

მარკ ჰალსტი - „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია" (IOM) - წარმომადგენელი საქართველოში.

დანართი #2

#	**ინტერვიუს ტიპი**	**ქვეყანა**
1	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
2	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
3	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
4	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
5	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
6	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
7	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
8	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
9	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
10	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
11	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
12	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
13	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
14	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
15	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
16	ონლაინ-ინტერვიუ	საფრანგეთი
17	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია
18	ონლაინ-ინტერვიუ	გერმანია

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, და GIP-ის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ანანო ალველაძე, *„საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებლები ევროპაში: გაზრდილი საფრთხე საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესისთვის“*, პოლიტიკის ნარკვევი #66, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ:
www.gip.ge